



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის  
განვითარების ხელშეწყობა



# GFA-ISET ანალიტიკა პარტნიორი

WITH FUNDING FROM  
 AUSTRIAN  
DEVELOPMENT  
COOPERATION



Georgian Farmers' Association  
საქართველოს მენეჯმენტის ასოციაცია

**ISET**  
International School of Economics at TSU  
Policy Institute




# კარტოფილი

კარტოფილის წარმოება მსოფლიოში

კარტოფილი (*Solanum tuberosum*) ძაღლყურძენასებრთა ოჯახის ერთწლოვანი, გორგლოვანი მცენარეა, რომელიც ფართოდაა გავრცელებული ზომიერპავიანი კლიმატის მქონე ქვეყნებში. ეს მცენარე პირველად მოიშინაურეს სამხრეთ ამერიკელებმა დაახლოებით 140 საუკუნის წინ, საქართველოში კი კარტოფილის კულტურა 200 წელს ითვლის. დღესდღეობით მსოფლიოში არსებობს კარტოფილის მოყვითალო, მოწითალო, მოლურჯო ან სხვა შეფერილობის ბოლქვების მქონე ნაირსახეობები, რომლებიც მდიდარია B1, B2, B6, C, PP ვიტამინებითა და სხვა სასარგებლო ნივთიერებებით. კარტოფილი იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული ამა თუ იმ ქვეყნის კულტურასა და ისტორიასთან, რომ ბელგიაში, დანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, კანადაში, აშშ-სა და სხვა ქვეყნებში არსებობს კარტოფილისადმი მიძღვნილი მუზეუმები; ვან გოგის ნახატი „კარტოფილის მჭამელები“ კი კარგად მეტყველებს ადამიანის კვების რაციონში მის მნიშვნელობაზე. კარტოფილს საპატიო ადგილი უჭირავს 50-ზე მეტი ქვეყნის ეროვნულ სამზარეულოში და მისგან მზადდება მსოფლიოში პოპულარული ისეთი წასახემსი, როგორიცაა „ჩიფსი“ და კარტოფილის „ფრი“.

2000-იანი წლების პირველ ნახევარში კარტოფილის წარმოების მოცულობა მსოფლიოში არაერთგვაროვანი დინამიკით იცვლებოდა, უკიდურესად დაბალმოსავლიანი (307 მლნ. ტონა) 2006 წლის შემდეგ კი წარმოების ზრდის ტენდენციამ სტაბილური ხასიათი მიიღო. შედეგად, 2014 წელს მსოფლიოში ჯამურად იწარმოა რეკორდულად დიდი რაოდენობის კარტოფილი (382 მლნ. ტონა).

გრაფიკი 1: კარტოფილის წარმოება მსოფლიოში (მლნ. ტონა)




წყარო: FAOSTAT (2017 წლის 4 აგვისტოს მონაცემებით)

გაეროს საკვებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO-ის) მონაცემებით, 2014 წელს კარტოფილის წარმოებით მსოფლიოში პირველ 5 ადგილს იკავებდნენ დიდი ფართობითა და მრავალრიცხოვანი მოსახლეობით გამორჩეული ქვეყნები: ჩინეთი (95.5 მლნ. ტონა), ინდოეთი (46.4 მლნ. ტონა), რუსეთი (31.5 მლნ. ტონა), უკრაინა (23.7 მლნ. ტონა) და აშშ (20.1 მლნ. ტონა).

## კარტოფილის ექსპორტ-იმპორტი მსოფლიოში

2016 წელს კარტოფილის ექსპორტიორი ქვეყნების პირველ ხუთეულში ადგილებს ევროპული ქვეყნები და კანადა ინაწილებდნენ. აღნიშნულ წელს საერთაშორისო ბაზარზე ყველაზე მეტი რაოდენობით კარტოფილი გაყიდა საფრანგეთმა (1.851 მლნ. ტონა), ყველაზე მეტი შემოსავალი კი მიიღო ნიდერლანდებმა (669.914 მლნ. აშშ დოლარი).


**გრაფიკი 2:** კარტოფილის მთავარი ექსპორტიორი ქვეყნები მსოფლიოში



წყარო: trademap.org (2017 წლის 4 აგვისტოს მონაცემებით)

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს კარტოფილის ხუთი მთავარი იმპორტიორი ქვეყნიდან ხუთივე ევროპული იყო და მათ შორის ლიდერობდა ბელგია, რომელმაც 2 მლნ. ტონაზე ოდნავ მეტი კარტოფილის იმპორტზე დაახლოებით 463 მლნ. აშშ დოლარი დაარცა. იმპორტის მოცულობითა და ღირებულებით მეორე ადგილი დაიკავა ბელგიის მეზობელმა ნიდერლანდებმა, სადაც კარტოფილის იმპორტის მოცულობამ 1.45 მლნ. ტონა, ხოლო ღირებულებამ 251 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

**გრაფიკი 3:** კარტოფილის მთავარი იმპორტიორი ქვეყნები მსოფლიოში




წყარო: trademap.org (2017 წლის 4 აგვისტოს მონაცემებით)

## კარტოფილის წარმოება საქართველოში

საქართველოს მონაცემებით, კარტოფილის წარმოება საქართველოში ბოლო ათწლეულის განმავლობაში ძირითადად მზარდი დანამიკით ხასიათდებოდა. 2006 წლის 168.7 ათასი ტონიდან ეს სიდიდე 2013 წელს 296.6 ათას ტონამდე გაიზარდა, რასაც მოჰყვა წარმოების კლების ორწლიანი შუალედი და უშუალოდ შარშან (2016 წელს) კარტოფილის წარმოებამ ქვეყანაში 249 ათასი ტონა შეადგინა. მთელი ამ ათწლიანი პერიოდის განმავლობაში საქართველოში სტაბილურად მაღალი იყო კარტოფილით თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი (ქვეყანა საშუალოდ აკმაყოფილებდა შიდა მოხმარების 90%-ზე მეტს), რომლის სიდიდემაც გასულ წელს 92% შეადგინა. რაც შეეხება ქვეყანაში კარტოფილის ნათესებს, 2016 წელს მათ 20 ათასი ჰა ფართობი ეკავა და ამ ნათესების დაახლოებით 53% სამცხე-ჯავახეთის რეგიონში იყო თავმოყრილი.

**გრაფიკი 4:** კარტოფილის წარმოება საქართველოში




წყარო: FAOSTAT (2017 წლის 4 აგვისტოს მონაცემებით)

FAO-ის მონაცემებით, 2006-2014 წლებში საქართველოში მოსავლიანობის მაჩვენებელი არასტაბილურად, მაგრამ მაინც იზრდებოდა (წელიწადში საშუალოდ +0.41 ტონა/ჰა). ამის მიუხედავად, საქართველო 8-წლიანი პერიოდის საშუალო მოსავლიანობით (10.6 ტონა/ჰა) მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა თავის მეზობლებსა (თურქეთი — 30.1 ტონა/ჰა, სომხეთი — 19.4 ტონა/ჰა, აზერბაიჯანი — 14.8 ტონა/ჰა, რუსეთი — 13.5 ტონა/ჰა) და ევროკავშირის ქვეყნებს (27.0 ტონ/ჰა).

## კარტოფილით საგარეო ვაჭრობა საქართველოში

საქართველოდან კარტოფილის ექსპორტით ბოლო წლებიდან აღსანიშნავია 2010, 2013 და 2016 წლები, რომელიც გამოირჩეოდა ქვეყნის კარტოფილით თვითუზრუნველყოფის მაღალი კოეფიციენტითაც (შესაბამისად, 103%, 100% და 92%). ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ ქართველი მეკარტოფილები უპირატესად ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ზრუნავენ და მათთვის ექსპორტი მეორეხარისხოვანია. რაც შეეხება უშუალოდ მაჩვენებლებს, 2016 წელი ქართული კარტოფილისთვის ბოლო ათწლეულის ყველაზე უფრო უხვეუსპორტიანი წელი გამოდგა (13.9 ათასი ტონა), ყველაზე შემოსავლიანი კი იყო 2010 წელი (3.5 მლნ. აშშ დოლარი) და ამ პერიოდში ექსპორტზე გატანილი კარტოფილის რაოდენობისა და ღირებულების საშუალოდ 88%-89% აზერბაიჯანზე მოდიოდა.


**გრაფიკი 5:** კარტოფილის ექსპორტი საქართველოდან



წყარო: trademap.org (2017 წლის 4 აგვისტოს მონაცემებით)

2006-2016 წლებში საქართველოში კარტოფილის ყოველწლიური იმპორტის დინამიკა ქვეყნის ექსპორტის დინამიკის სარკისებური ანარეკლი იყო, ხოლო აბსოლუტურ სიდიდეებში იმპორტი ექსპორტს საგრძნობლად აჭარბებდა. აღნიშნული პერიოდის იმპორტის მაქსიმალური მოცულობა დაფიქსირდა 2007 წელს (52.4 ათასი ტონა), ღირებულებაში გამოხატული იმპორტი კი ყველაზე მაღალი იყო 2011 წელს (13.9 მლნ. აშშ დოლარი).

გრაფიკი 6: კარტოფილის მიპორტი საქართველოში




წყარო: trademap.org (2017 წლის 4 აგვისტოს მონაცემებით)



## კარტოფილის მწარმოებალთა ფასები მსოფლიოში

FAO-ის მონაცემებით, კარტოფილის მთავარ მწარმოებელ ქვეყნებში 2000-იანი წლების დასაწყისიდან აღნიშნული პროდუქტის მწარმოებელთა (საბითუმო) ფასები სტაბილურად მზარდი დინამიკით ვითარდებოდა, მაგრამ 2011 წლიდან ეს დინამიკა საკმაოდ მერყევი და მეტ-ნაკლებად კლებადი გახდა. გამონაკლისი აღმოჩნდა აშშ, სადაც 2008 წლიდან მოყოლებული კარტოფილის მწარმოებელთა ფასები თითქმის უცვლელად ნარჩუნდება 200 აშშ დოლარი/ტონის ფარგლებში.

გრაფიკი 7: კარტოფილის მწარმოებელთა ფასები მსოფლიოში (აშშ დოლარი/ტონა)



წყარო: FAOSTAT (2017 წლის 4 აგვისტოს მონაცემებით)




## კარტოფილის მნარმნებელთა ფასები საქართველოსა და ევროკავშირში

2006-2015 წლებში საქართველოსა და ევროკავშირში კარტოფილის მწარმოებელთა (საბითუმო) ფასები უმეტესწილად ერთნაირი მიმართულებით იცვლებოდა, მაგრამ საქართველოში თითქმის ყველთვის ნარჩუნდებოდა უფრო მაღალი ფასი. აღნიშნული პერიოდი ხასიათდებოდა ფასების ზრდა-კლების ხანმოკლე მონაკვეთებით და ათწლეულის ყველაზე მაღალმა ფასმა საქართველოში 431 აშშ დოლარი/ტონა შეადგინა (2014 წელი), ხოლო ყველაზე დაბალმა ფასმა — 265 აშშ დოლარი/ტონა (2009 წელი). ანალოგიური მაჩვენებლები ევროკავშირისთვის დაფიქსირდა, შესაბამისად, 2013 და 2015 წლებში, როცა კარტოფილის მწარმოებელთა ფასებმა რეგიონში ბოლო ათწლეულის ყველაზე მაღალ (387 აშშ დოლარი/ტონა) და დაბალ (250 აშშ დოლარი/ტონა) ნიშნულებს მიაღწია.

### გრაფიკი 8: კარტოფილის მწარმოებელთა ფასები

საქართველოსა და ევროკავშირში (აშშ დოლარი/ტონა)




წყარო: FAOSTAT (2017 წლის 4 აგვისტოს მონაცემებით)

## კარტოფილის სამომხმარებლო ფასები საქართველოში

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონული საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების შეგროვებული მონაცემების მიხედვით, ადგილობრივი წარმოების კარტოფილის საშუალო სამომხმარებლო (საცალო) ფასი 2016 წლის ივლისიდან წლის ბოლომდე თითქმის უცვლელად ნარჩუნდებოდა 0.70 ლარი/კგ დონეზე, ხოლო მწარმოებელთა (საბითუმო) ფასი მცირედით კლებადი ტენდენციით ხასიათდებოდა. აღნიშნულის საპირისპიროდ, 2017 წლის იანვრიდან დაიწყო როგორც სამომხმარებლო, ისე მწარმოებელთა ფასების ზრდა და მათმა ნაზრდმა წლის პირველ ნახევარში, შესაბამისად, 40% და 70%-ს გადაჭარბა, შემდეგ კი სამომხმარებლო ფასები კვლავ შემცირდა და 2017 წლის ივლისში 0.82 ლარი/კგ შეადგინა. რაც შეეხება განსხვავებას ქართველი მეკარტოფილების მიერ ნაწარმოები 1 კგ. კარტოფილის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალსა და ქართველი მომხმარებლის მიერ ამ კარტოფილის შესაძენად გადახდილ თანხას შორის, ეს სიდიდე ბოლო 12-თვის განმავლობაში 1 კგ-ზე დაახლოებით 28 თეთრს შეადგენდა.

**გრაფიკი 9:** კარტოფილის სამომხმარებლო (საცალო) და მწარმოებლის (საბითუმო)  
ფასები საქართველოში (ლარი/კგ.)



წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

აგვისტო, 2017 წელი





## ევროკავშირი საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მუნიციპალიტეტების  
განვითარების ხელმენყობა

პროექტი მხარდაჭერილია ევროკავშირის ENPARD-ის პროგრამის მიერ. პროგრამა ხორციელდება 2013 წლიდან და მისი მთავარი მიზანია სოფლად სიღარიბის შემცირება საქართველოში, სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების მხარდაჭერის გზით. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ [www.enpard.ge](http://www.enpard.ge)

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის დახმარებით.

მის შინაარსზე პასუხისმგებელია CARE და მისი პარტნიორები - საქართველოს ფერმერთა ასოციაცია და ISET-PI.

პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.